

საგამოცდო პროგრამა წიგნიერებაში

რას ნიშნავს წიგნიერება კითხვის სფეროში?

წიგნიერება განიმარტება, როგორც ადამიანის უნარი, ძირითად საგნებში მიღებული ცოდნა გამოიყენოს ყოველდღიურ ცხოვრებაში - სხვადასხვა სიტუაციაში განსაზღვროს და გადაჭრას პრობლემები, ცოდნის საფუძველზე გააანალიზოს ინფორმაცია, იმსჯელოს და შეძლოს ეფექტური კომუნიკაცია. კითხვის სფეროში წიგნიერება განისაზღვრება, როგორც „წერილობითი ტექსტის გაგება, გამოყენება და გააზრება დასახული მიზნების მისაღწევად, ცოდნისა და პოტენციალის განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად“ (UNESCO 2014).

კითხვის უნარი (წიგნიერება) გულისხმობს კომპეტენციებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს, მის მიერ დასახული, კონკრეტული მიზნის შესაბამისად გაიგოს, გამოიყენოს, გააანალიზოს და შეაფასოს ერთი ან მეტი ტექსტით წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაცია.

რას ამოწმებს კითხვის უნარის შესაფასებელი ტესტი?

კითხვის უნარის შესაფასებელი ტესტი ადგენს სხვადასხვა სახის ტექსტის გაგების, გამოყენებისა და გააზრების უნარებს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების მქონე პროფესიონალების მომზადებისათვის.

ტესტის მიზანია, გამოავლინოს ის გამოსაცდელელები, რომლებსაც უკეთ აქვთ განვითარებული: ვერბალური მასალის აღქმისა და გააზრების უნარი; ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი; ტექსტში პირდაპირ და არაპირდაპირ მოცემული ინფორმაციის (ქვეტექსტის) გაგებისა და გააზრების უნარი.

ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებული დავალებები ითვალისწინებს კავშირების დამყარებას, შედარებას, ახსნას ან ტექსტის რაიმე მახასიათებლის შეფასებას. ზოგიერთი ამგვარი დავალება გამოსაცდელისგან მოითხოვს ტექსტის გაგებასა და ახალი ინფორმაციის უკვე არსებულ ზოგად ცოდნასა და გამოცდილებასთან დაკავშირებას.

ტესტი აერთიანებს სხვადასხვა ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულება არ მოითხოვს განსაკუთრებულ, სპეციალურ-საგნობრივ ცოდნას. მათი დამლევა შესაძლებელია ნებისმიერ სოციალურ-კულტურულ გარემოში მცხოვრები გამოსაცდელისათვის.

ტესტის სტრუქტურა

ტესტის სტრუქტურა და შინაარსი ეყრდნობა მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამის PISA-ს კონცეპტუალურ ჩარჩოს. წაკითხულის გააზრების დავალებები შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის: პირადი ხასიათის, საჯარო, საგანმანათლებლო თუ საქმიანობასთან დაკავშირებული.

- **პირადი ხასიათის ტექსტები** შეესაბამება მკითხველის პირად ინტერესებს. ასეთი ტექსტებია: პირადი წერილები, პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული ტექსტები.
- **საჯარო ტექსტი** შეიცავს ინფორმაციას საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი აქტივობებისა და საკითხების შესახებ. მაგალითად, ასეთ ტექსტებს წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტები და ინფორმაცია საჯარო ღონისძიებების შესახებ.
- **საგანმანათლებლო ტექსტები** შემეცნებითი ხასიათისაა. მაგალითად, ტექსტები საბუნებისმეტყველო, სოციალური თუ ხელოვნების სფეროებიდან.
- **საქმიანობასთან დაკავშირებული ტექსტები** ასოცირდება სამუშაო ადგილთან, ჩვეულებრივ კი - რაიმე კონკრეტული ამოცანის შესრულებასთან. საქმიანობასთან დაკავშირებული ტექსტი შეიძლება წარმოადგენდეს სამუშაო ვაკანსიის შესახებ გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას.